საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის სამოქმედო გეგმა

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მომზადებულია **„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის – კავკასიური სახლის“, „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა“ და „ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის“** ერთობლივი პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ ჩამოყალიბებული საექსპერტო ხედვის გათვალისწინებით, რომელიც ეხება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაციას. გარდა ამისა, იგი ეყრდნობა ამავე ორგანიზაციების დაკვეთით 2024 წელს „CRRC-საქართველოს“ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის ანალიზს, რომელიც მთლიანად კონფლიქტებისა და მშვიდობის თემატიკაზე იყო ფოკუსირებული. იგი ასევე ასახავს წლების განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ სამშვიდობო საკითხებზე მუშაობის პროცესზე დაკვირვებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული საექსპერტო ხედვა და კვლევა ეხება კონფლიქტებისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებასა და აღქმებს და, შესაბამისად, მოცემული სამოქმედო გეგმის ადრესატებიც, ძირითადად, ქართულ მხარეს არსებული აქტორებია. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ქართულ მხარესთან ერთად რეკომენდაციების ადრესატები საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორებიც არიან.

ექსპერტული ხედვის მსგავსად, სამოქმედო გეგმის სრულფასოვანი რეალიზაცია არსებითად არის დამოკიდებული საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებაზე. ასევე იმ სულისკვეთებაზე, რომ რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზაციის შემთხვევაშიც კი, ეს კონფლიქტები თავისთავად არ მოგვარდება და აქ და ახლა საჭიროა მიდგომები, რომლებიც უნდა იყოს რეალისტური და არ უნდა ემყარებოდეს ისეთ მოლოდინებს, რომლებზეც გავლენის მოხდენა არც საქართველოს ხელისუფლებას, არც ქართულ საზოგადოებას და არც აფხაზ და ოს მოსახლეობას არ შეუძლიათ.

მიზანი: საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროცესის სისტემატიზაცია, ეფექტიანობის გაზრდა და მის მიმართ ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზება	**კომენტარი:** CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, შეკითხვაზე, თუ რა გზით წარმოუდგენია გამოკითხულ მოსახლეობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის აღდგენა, რესპონდენტების მხოლოდ 1% ემხრობა სამხედრო ძალის გამოყენებას. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობაში არსებობს კონსენსუსი მშვიდობიანი მიდგომების უალტერნატივობის თაობაზე. გარდა ამისა, შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ქართულ-აფხაზური/ოსური ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, რესპონდენტთა 59%-მა უპასუხა დადებითად. შესაბამისად, საზოგადოების უმრავლესობაში არსებობს რწმენა, რომ კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაცია მათ საბოლოო მოგვარებამდე შესაძლებელია.

1. ამოცანა: ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება

განსახორციელებელი აქტივობები	**პასუხისმგებელი აქტორები**	**დამაზუსტებელი ცნობები/კომენტარები, შესაძლო კონკრეტული ნაბიჯები**
1.1. საჯარო დისკუსიების/განხილვების ორგანიზება კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიდგომის, რაობისა და აქტუალობის შესახებ	• კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები • საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები • საქართველოს მთავრობა	• მსგავსი დისკუსიები მიზანშეწონილია გაიმართოს კონფლიქტებით დაზარალებულ მოსახლეობასა და სხვადასხვა პროფესიულ წრესთან (მაგ. ჟურნალისტები, პოლიტიკის ექსპერტები, სტუდენტები, ხელოვნების წარმომადგენლები და ა.შ.) თბილისსა და რეგიონულ ცენტრებში. • დისკუსიებმა მნიშვნელოვანია მოიცვას შემდეგი თემები: ○ ქართულ-აფხაზური/ოსური ურთიერთობების ამჟამინდელი ვითარების მიმოხილვა ○ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში პოლიტიკური და ადამიანის უფლებების მდგომარეობა ○ კონფლიქტების ადამიანური, პოლიტიკური და ეკონომიკური საფასური ○ მზარდი გაუცხოება კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ○ კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიდგომის აქტუალობა და მისი საჭიროება კონფლიქტების დასარეგულირებლად • დისკუსიები აუცილებელია შეეხოს კონფლიქტების გენდერულ ჭრილსა და ქალების როლს შერიგების პროცესებში.
1.2. სატელევიზიო სივრცეში კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხების აქტუალიზაცია	• სატელევიზიო მედია • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	• CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა (56%) საკუთარ თავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ ნაკლებად ან სრულად არაინფორმირებულად მიიჩნევს. ამ რეგიონების შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ (76%) კი ქართულენოვანი ტელევიზია სახელდება.

	• საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები	• ქართულმა სატელევიზიო სივრცემ ამ საინფორმაციო დეფიციტს უნდა უპასუხოს შესაბამისი მიმდინარე მოვლენების სისტემატურად გაშუქებითა და ანალიტიკური გადაცემების მომზადებით. მაგ., საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტად გამოკვეთს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებას. • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების, სატელევიზიო არხებისა და საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების თანამშრომლობით შესაძლებელია რელევანტური თემატური დოკუმენტური ფილმების მომზადება და ტრანსლირება.
1.3. ინტერნეტ გამოცემებსა და სოციალურ მედიაში კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხების აქტუალიზაცია	• ინტერნეტ გამოცემები • სოციალური მედიაარხები • ე.წინფლუენსერები • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები • საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები	• CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების მნიშნელოვან წყაროებს წარმოადგენენ ინტერნეტგამოცემები (30%) და სოციალური მედია (31%). • ქართულმა ინტერნეტ გამოცემებმა სასურველია მოამზადონ ანალიტიკური სტატიები კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესების შესახებ, ასევე აუდიო-ვიზუალური სიუჟეტები. • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციებმა უნდა დაამყარონ კავშირები ანალიტიკური YouTube-გადაცემებისა და პოდკასტების ავტორებთან. • აქტუალურ საკითხებზე რეაგირებისთვის და კონფლიქტების თემატიკის ირგვლივ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია მშვიდობის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და რელევანტური ინფლუენსერების თანამშრომლობა.

1.4. საინფორმაციო და სოლიდარობის კამპანიების წარმოება კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და ნდობის აღდგენის პროცესის გარშემო	• კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
	• საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები
		• მკაფიო გზავნილის მქონე საინფორმაციო კამპანიების წარმართვა მნიშვნელოვანია კონფლიქტების ტრანსფორმაციის კონკრეტული ასპექტების საზოგადოებამდე მისატანად და დამკვიდრებულ სტერეოტიპებთან საბრძოლველად. ამიტომ მნიშვნელოვანია, კამპანიებმა მოიცვას შემდეგი თემები:
		  ○ ევროკავშირთან ინტეგრაციისა და კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის ურთიერთგადაჯაჭვულობა[1];
		  ○ ისტორიული და სიმბოლური თარიღების შესახებ მომავალზე ორიენტირებული ნარატივების შემუშავება
		  ○ აფხაზებისა და ოსების ისტორიული წარმომავლობისშესახებ არსებული წარმოდგენების კრიტიკული გააზრება
		• მნიშვნელოვანია სოლიდარობის კამპანიების წარმოება ქალების, ახალგაზრდების, დევნილების, ვეტერანებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის სამშვიდობო პროცესისგან გარიყულობასა და მათი ჩართულობის აუცილებლობაზე ხაზგასასმელად. მაგ., შესაძლებელია ქალების ჩართულობის ისტორიების წარმოჩენა შერიგების პროცესში, ქალთა სამშვიდობო ინიციატივების გამოკვეთა და კონფლიქტის ტრანსფორმაციისას გენდერულად სპეციფიკური გამოწვევების ხაზგასმა.

[1]CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 61% მიიჩნევს, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია დადებითად აისახება კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესზე.

1.5. კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის რელევანტური აკადემიური და გამოყენებითი კვლევების მომზადება და სასწავლო კურსებში ინტეგრირება	• უნივერსიტეტები • კვლევითი ცენტრები • უახლესი ისტორიის მკვლევრები • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები • საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები • საქართველოს მთავრობა	• აკადემიური კვლევების მომზადება საუნივერსიტეტო სივრცეში საქართველოში არსებული კონფლიქტების ისტორიის, მათ შორის უახლესი წარსულისსიღრმისეული ანალიზისთვის. • გამოყენებითი კვლევები სასურველია მომზადდეს ნდობის აღდგენის, შერიგების, ადამიანის უფლებების, საერთაშორისო სამართლისა და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობებისთვის აქტუალური სხვადასხვა თემატური მიმართულებით (მაგ., მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების მონაწილეობის გამოცდილებებსა და მათი გაზრდილი ჩართულობის უპირატესობებზე). • მნიშვნელოვანია ქვეყანაში განვითარდეს რუსეთის კვლევების დისციპლინა. CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, კონფლიქტის მხარე, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა 1990-იან წლებსა და 2008 წელს მომხდარ სამხედრო დაპირისპირებებზე, არის რუსეთის ფედერაცია. ამასთან, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, რუსეთს აქვს ყველაზე დიდი გავლენა საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივაზე.
2. ამოცანა: პოლიტიკური პარტიების ჩართულობის გაზრდა კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში		
განსახორციელებელი აქტივობები	**პასუხისმგებელი აქტორები**	**დამაზუსტებელი ცნობები/კომენტარები, შესაძლო კონკრეტული ნაბიჯები**
2.1. კონფლიქტების ტრანსფორმაციის ხელშემწყობი გზავნილების ინტეგრირება პოლიტიკური პარტიებისპროგრამებში	• პოლიტიკური პარტიები • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები • საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები	• ამგვარი გზავნილები შესაძლოა დაეფუძნოს „კავკასიური სახლის“, „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა“ და „ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის“ ერთობლივ კონცეპტუალურ ექსპერტულ დოკუმენტს (2024), რომელიც ეხება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაციას. • პროგრამებმა უნდა ასახოს (მათ შორის ასაკობრივი და გენდერული პერსპექტივებით) რა კონკრეტული რეალისტური ნაბიჯების გადადგმა შეუძლია ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას კონფლიქტით დაზარებული მოსახლეობის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების გასაჯანსაღებლად. • პროგრამების აღსრულების საკითხზე შესაძლოა პარტიებმა გამოყონ კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, რომლებიც წარმართავენ კომუნიკაციას დაინტერესებულ პირებთან და მონაწილეობას მიიღებენ თემატურ ღონისძიებებში. • ამგვარი ნაბიჯი შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი პოზიტიური გზავნილი აფხაზური და ოსური საზოგადოებებისთვის, ასევე საერთაშორისო პარტნიორებისთვისაც.
2.2. ყოველწლიური კონფერენციის ჩატარება მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე	• პოლიტიკური პარტიები • კონფლიქტებისა და მშვიდობის საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ექსპერტები • უსაფრთხოების საკითებზე მომუშავე ექსპერტები • საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები	• პარტიული პროგრამებისა და ქარტიის/მემორანდუმის შესრულების მონიტორინგის მიზნით, ასევე მიმდინარე და სტრატეგიული პროცესების ანალიზისთვის სასურველია გაიმართოს ყოველწლიური კონფერენცია კონფლიქტებისა და უსაფრთხოების საკითხებზე. • ამგვარი ინიციატივა შესაძლოა დაეფუძნოს საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის ყოველწლიურ კონფერენციას და მის გაფართოებულ ფორმატს.
3. ამოცანა:კონფლიქტებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის უშუალო კავშირების ხელშეწყობა		• კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციისთვის ადამიანებს შორის ფიზიკური კავშირები და მათი თავისუფალი გადაადგილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორი განზომილებისგან შედგება. კერძოდ, თბილისისთვის თავისუფალი გადაადგილება

		გამყოფ ხაზზე ადამიანთა შეუფერხებელ მიმოსვლას გულისხმობს, ხოლო სოხუმისა და ცხინვალისთვის დასავლეთის ქვეყნებში შეუფერხებელ მგზავრობას უკავშირდება. • CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა მხოლოდ 17% იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს, ხოლო 13% – ცხინვალის რეგიონში, ეთნიკურად ქართველებით დასახლებული რეგიონების გამოკლებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებებს შორის კავშირი მინიმალურია, გაუცხოება კი – საგანგაშო. • იმავე კვლევის მიხედვით, 51% ეთანხმება მოსაზრებას, რომ დროის სვლასთან ერთად ქართველებისა და აფხაზების და ქართველებისა და ოსების შერიგების პერსპექტივა მცირდება. მაშასადამე, მოსახლეობის უმრავლესობა იზიარებს, რომ დრო შერიგების სასიკეთოდ არ მუშაობს.
განსახორციელებელი აქტივობები	**პასუხისმგებელი აქტორები**	**დამაზუსტებელი ცნობები/კომენტარები, შესაძლო კონკრეტული ნაბიჯები**
3.1. თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა	• საქართველოს მთავრობა • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	• პირობადებული პრინციპის გამოყენებით შესაძლოა აფხაზების/ოსების საზღვარგარეთ მგზავრობის სანაცვლოდ აღდგეს თავისუფალი გადაადგილება გამყოფ ხაზზე. • თავისუფალი გადაადგილების უფლება უნდა ვრცელდებოდეს როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებზე (საზღვარგარეთ მათი მგზავრობის კუთხით), ისე დანარჩენ საქართველოში მცხოვრებ პირებზე (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მათთვის შესვლა-გამოსვლის უფლების კუთხით). • აფხაზებისა და ოსებისთვის შესაძლებელია გამარტივდეს ქართული პასპორტის აღება ან მოხდეს ახალი სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტის შეთავაზება, რომელსაც ევროკავშირი აღიარებს და მასზე გაავრცელებს ვიზალიბერალიზაციას, რაც დოკუმენტს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისთვის პრაქტიკულ მნიშვნელობას შესძენს
3.2. აფხაზური დე ფაქტო საავტომობილო სანომრე ნიშნებით ავტომობილების გადაადგილების გამარტივება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე	• საქართველოს მთავრობა	
4. ამოცანა: კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიდგომების სახელმწიფო პოლიტიკაში ასახვა		• CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა ყველაზე დიდ ნაწილს (38%) მიაჩნია, რომ კონფლიქტების დარეგულირებაში მთავარი აქტორი ქართული მხრიდან არის თავად საქართველოს ხელისუფლება. • აღნიშნული კვლევის მიხედვით, ასევე დაწინაურებულია ის შეფასება (24%), რომ კონფლიქტების საკითხებზე მუშაობა არა რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო უწყების, არამედ ყველა მათგანის პასუხისმგებლობაა.
განსახორციელებელი აქტივობები	**პასუხისმგებელი აქტორები**	**დამაზუსტებელი ცნობები / კომენტარები, შესაძლო კონკრეტული ნაბიჯები**
4.1. კონფლიქტების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტების განახლება და შექმნა	• საქართველოს მთავრობა	• სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2010 წელს დამტკიცების შემდეგ არ განახლებულა. შესაბამისად, ის ვერ პასუხობს იმ რეალობას, რომელიც 15 წლის შემდეგაა დამდგარი. ამ პროცესში სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს ტრანსფორმაციულ მიდგომაზე. • მნიშვნელოვანია სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გაფართოვდეს, გამრავალფეროვნდეს და საზოგადოებაში გავრცელდეს მასზე ინფორმაცია. CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 30% ამბობს, რომ კარგად იცნობს (1%) ან მეტ-ნაკლებად იცნობს (29%) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობისთვის საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა თუ სამშვიდობო ინიციატივებს. • აუცილებელია, საქართველოს მთავრობას გააჩნდეს დეოკუპაციის ხედვა. 2008 წლის შემდეგ არცერთხელ არ გამართულა ფართო საზოგადოებრივი დისკუსია დეოკუპაციის პარამეტრებისა და ინდიკატორების შესახებ. მაგ., ნიშნავს თუ არა დეოკუპაცია მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ჯარების სრულ გაყვანას?განსაზღვრავს თუ არა მხოლოდ ჯარების ყოფნა რუსეთის ეფექტურ კონტროლს ადგილზე?

		საჭიროა თუ არა გარდამავალი პერიოდი ადგილზე საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებით? როგორ იმიჯნება ან სად კვეთს ერთმანეთს დეოკუპაცია და შერიგების პროცესი? ამ და მრავალ სხვა კითხვაზე არ არსებობს ერთიანი პასუხი პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში. • მნიშვნელოვანია შეიქმნას სახელმწიფო ანტიანექსიური სტრატეგია. კონფლიქტის ისტორიაში დადგა ისეთი მომენტი, როდესაც სოხუმისა და თბილისის ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა და ეს ინტერესი არის რუსეთის მიერ აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიის არიდება. რა თქმა უნდა, სოხუმსა და თბილისს შესაძლოა კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით განსხვავებული მიზნები და მოლოდინები ჰქონდეთ (სოხუმისთვის ეს არის დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევა, ხოლო თბილისისთვის, პირიქით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა), თუმცა ამჟამად მათ საერთო გამოწვევა – ხსენებული ანექსიის საფრთხე აკავშირებთ. ამან, შესაძლოა, ხელი შეუწყოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს თუნდაც პოლიტიკურ და სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებთან შეხების გარეშე.
4.2. კონფლიქტების ტრანსფორმაციის პოლიტიკასთან ნორმატიული ბაზის ჰარმონიზაცია	• საქართველოს პარლამენტი • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები • დონორი ორგანიზაციები	• მნიშვნელოვანია, კონფლიქტების ტრანსფორმაციას საკანონმდებლო ბაზაც უწყობდეს ხელს. ამ მხრივ შესაძლოა ჩატარდეს არსებული კანონმდებლობის სიღრმისეული ანალიზი და მომზადდეს კონკრეტული ინიციატივები. • ერთ-ერთი პირველი ინიციატივა არის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა, რომელიც გამონაკლისის წესით მოახდენდა გადაადგილების თავისუფლების დეკრიმინალიზაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები იმ პირებისთვის, რომლებიც ერთდროულად ფლობენ რუსეთის ფედერაციისა და ადგილობრივ დე ფაქტო პასპორტს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უფიქსირდებათ სხვა მხრიდან, გარდა ზუგდიდისა და გორის მუნიციპალიტეტებისა.
4.3. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოლიტიკური სტატუსის გაზრდა	• საქართველოს მთავრობა	• მნიშვნელოვანია ამაღლდეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მანდატი, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრი გახდეს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრი
5. ამოცანა: თბილისსა და სოხუმს და თბილისსა და ცხინვალს შორის პირდაპირი დიალოგის საჭიროებისა და შესაძლო ფორმატების შესახებ დისკუსიების დაწყება		• CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 84% მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა აწარმოებდეს პირდაპირ დიალოგს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებთან.
განსახორციელებელი აქტივობები	**პასუხისმგებელი აქტორები**	**დამაზუსტებელი ცნობები / კომენტარები, შესაძლო კონკრეტული ნაბიჯები**

5.1. პირდაპირი დიალოგის შესაძლო ფორმატების გამოკვეთა	• საქართველოს მთავრობა
	• კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
	• პოლიტიკური პარტიები
	• დონორი ორგანიზაციები
		• მოლაპარაკებებში ჩართულ პირს შესაძლოა მოქნილობისთვის მიენიჭოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის სტატუსი სოხუმსა და ცხინვალთან დიალოგში.
		• სხვა კონფლიქტების დარეგულირების მაგალითზე დაყრდნობით, შესაძლოა ჩამოყალიბდეს ტექნიკური კომიტეტების ფორმატი, რომლებშიც მხარეები პოლიტიკურადნაკლებად მგრძნობიარეთემატურსაკითხებზე იმსჯელებენ თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობებზე. ტექნიკური კომიტეტები შესაძლოა დაკომპლექტდეს სამინისტროების რელევანტური დეპარტამენტების წარმომადგენლებით.
		• CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, პირდაპირი დიალოგისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს შემდეგი თემები:
		  ○ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის თავისუფალი გადაადგილება (46%)
		  ○ დევნილთა დაბრუნება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე (32%)
		  ○ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობები (28%).
		  ○ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განათლება (17%)
		  ○ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვა (10%)
		  ○ დევნილთა ქონების კომპენსაციის საკითხები (10%)

		• ამ საკითხებთან ერთად შესაძლოა ერთობლივი ინტერესების სფერო იყოს: ○ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ○ გარემოს დაცვა ○ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ○ კრიზისული სიტუაციების მართვა
5.2. პირდაპირი დიალოგის ინიციატივის შესახებ კონფლიქტებით დაზარალებულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან კონსულტაციების დაწყება პროცესში მასში ჩართულობის მიზნით	• კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები • დევნილთა ორგანიზაციები • პოლიტიკური პარტიები • საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები	• დევნილებთან, ვეტერანებსა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრებთან გაიმართოს კონსულტაციები პირდაპირი დიალოგის საჭიროების შესახებ. კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება მაღალ ლეგიტიმაციას მისცემდა პირდაპირი დიალოგის ინიციატივას. • შემუშავდეს მიზანმიმართული ინიციატივები, რომლებიც გააძლიერებს და გაზრდის ქალების მონაწილეობას სამშვიდობო პროცესებსა და დიალოგში.
5.3. პირდაპირ დიალოგთან დაკავშირებული შესაძლო იურიდიული, შიდა და საგარეო პოლიტიკური რისკების ანალიზი	• საქართველოს მთავრობა • კონფლიქტების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები • საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები • პოლიტიკური პარტიები • დონორი ორგანიზაციები	• აუცილებელია შეიქმნას ექსპერტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც გაანალიზებს არსებული ფორმატების (GID და IPRM) შეზღუდულობას და იურიდიულ და პოლიტიკურ რისკებს, რომლებიც ახალი ფორმატის პირდაპირი დიალოგის დაწყებას შეიძლება ახლდეს თან. ამგვარ რისკებად მუდმივად სახელდება დე ფაქტო ხელისუფლებების შესაძლო ლეგიტიმაცია, არაღიარების პოლიტიკის დაზიანება და ა.შ. • CRRC-ის 2024 წლის რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 69% მიიჩნევს, რომ პირდაპირი დიალოგის დაწყებას ხელს უშლის რუსეთის პოლიტიკა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამგვარი დიალოგის პოტენციალი და ფორმატი გაანალიზდეს რეალისტურად. • საქართველოს დასავლელ პარტნიორებთან ამგვარი პირდაპირი დიალოგის მიზანშეწონილობასა და რისკებზე კონსულტაციების დაწყება.